ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №-10

2011 წლის 25 თებერვალი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამის“ დამტკიცების შესახებ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის №-148 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „სოციალურად დაუცველი ფენისათვის მუნიციპალური უფასო სასადილოს პროგრამის“ დამტკიცების შესახებ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 29 დეკემბრის №-148 განკარგულებაში შევიდეს ცვლილებები თანახმად დანართისა.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (მ. ცეცხლაძე).
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).
4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **ნ. ბერაძე**